



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლიტრი

ლიტრი, მოცულობის საზომი სისტემგარეშე ერთეული, ტოლია $10^{-3} \text{მ}^3 = 1 \text{დმ}^3$. საერთაშ. აღნიშვნაა L ან l (ზოგჯერ l), ქართული - ლ. ერთეულთა საერთაშორისო სისტემის ერთეულებთან ერთად, ლ-ის გამოყენება დაშვებულია შეუზღუდავად, მსგავსად ბოგიერთი სხვა სისტემგარეშე ერთეულისა (მაგ., საათი - სთ, დღე-ღამე - დღ-ღ და სხვ.). 1901-იდან ლ-ს განმარტავდნენ როგორც 1 კგ სუფთა წყლის მოცულობას ნორმალური (760მმ ვწყ. სვ.) წნევისა და 3.98°C ტემპერატურის პირობებში. შემდგომ გამოირკვა, რომ ეს მოცულობა 28 მემილიონედი ნაწილით აღემატება 1დმ^3 -ს, ამასთანავე, დამოკიდებულია გარემოს ტენიანობასა და წყლის იზოტოპურ შედგენილობაზე. შედეგად ზომათა და წონათა XII გენერალურმა კონფერენციამ 1964 მიიღო ლ-ის თანამედროვე განმარტება. ისტორიულად ტერმინი ლ. უკავშირდება მოცულობისა და მასის ერთეულს, ლიტრას, რ-იც გავრცელებული იყო ბერძნულ-რომაულ კულტურაში და ასევე საქართველოში. ფართოდ გამოიყენება ლ-ის წარმოებული ერთეულებიც, მაგ., დეკალიტრი - $1 \text{დკლ} = 10 \text{ლ}$, მილილიტრი - $1 \text{მლ} = 10^{-3} \text{ლ}$ და ა. შ.
